გაიმართა უმაღლესი საეკლესიო საბჭოს მორიგი სხდომა უწმინდესი პატრიარქის კირილეს თავმჯდომარეობით

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 04.27.2023. 27 აპრილს მოსკოვის ქრისტე მაცხოვრის საკათედრო ტაძრის უმაღლესი საეკლესიო საბჭოს დარბაზში მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქი კირილე რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი საეკლესიო საბჭოს მორიგ სხდომას გაუძღვა.

შეხვედრის გახსნისას დამსწრეებს შესავალი სიტყვით მიმართა უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ.

„ქრისტე აღდგა!

გულითადად მივესალმები უმაღლესი საეკლესიო საბჭოს ყველა წევრს.

დღეს ჩვენი შეხვედრის დღის წესრიგში შედის სპეციალური სამხედრო ოპერაციის ზონაში საეკლესიო მსახურების საკითხები. სასიხარულოა აღინიშნოს, რომ ბოლო დროს საეკლესიო დაწესებულებებმა შესამჩნევად გააძლიერეს მუშაობა, რომელიც მიმართულია კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ლტოლვილებისა და მშვიდობიანი მოქალაქეების დასახმარებლად. თანაც, ეს კეთდება ზემოდან საგანგებო მითითებების გარეშე, რაც ძალიან მსიამოვნებს; ვლინდება ინიციატივა – და ასეც უნდა იყოს. რაც შეეხება ჩემს პოზიციას, მე ყოველმხრივ მხარს ვუჭერ ყველა იმ წამოწყებას, რომლებიც ამ მნიშვნელოვანი ჰუმანიტარული საკითხების მოგვარებაზეა მიმართული.

2022 წელს საქველმოქმედო შემოწირულობების წყალობით, ჩვენ მოვახერხეთ 2850 ტონაზე მეტი ჰუმანიტარული დახმარების შეგროვება და გადაცემა ლტოლვილებისა და დაზარალებული მშვიდობიანი მოსახლეობისთვის, საიდანაც 1770 ტონაზე მეტი გაიგზავნა ბერდიანსკის, გორლოვკის, დონეცკის, ზაპოროჟიეს, ლუგანსკის, სევეროდონეცკის, ხარკოვისა და ხერსონის ეპარქიებში.

წმინდა ალექსის საეკლესიო საავადმყოფოში დაჭრილთა დასახმარებლად მოწყალების დების კურსები მოეწყო. საავადმყოფოს სასწავლო ცენტრის მიერ მომზადებული მოხალისეები რეგულარულად იგზავნებიან როტაციის წესით მარიუპოლის ინტენსიური თერაპიისა და გორლოვკის №2 საავადმყოფოში დაჭრილი პაციენტების მოსავლელად.

ასევე, 200-ზე მეტი მოხალისე მშენებელი, რომლებიც გამოეხმაურნენ რუსეთის ეკლესიის მოწოდებას, დღეს მონაწილეობენ მარიუპოლში საცხოვრებელი კორპუსების აღდგენაში, რომელიც, მოგეხსენებათ, ყველაზე მეტად დაზარალდა საომარი მოქმედებების შედეგად. ერთი თვის განმავლობაში მოხალისეებმა თვრამეტი კერძო სახლი უკვე შეაკეთეს და მზად არიან, განაგრძონ მუშაობა. ეს მნიშვნელოვანი ინიციატივა განხორციელდა სინოდალური საქველმოქმედო განყოფილების მიერ. გმადლობთ, მეუფევ, ინიციატივისთვის და იმისთვის, რომ ეს საკმაოდ სწრაფად გაკეთდა.

სამწუხაროდ, ტაძრები და მონასტრები გარდაუვლად განიცდიან ზიანს საომარი მოქმედებების შედეგად; არცთუ იშვიათია ტაძრების მისამართით მიზანმიმართული სროლებიც. მაგალითად, აღდგომის ღამეს დარტყმა მიაყენეს იმ ადგილს, სადაც მდებარეობს დონეცკის სპასო-პრეობრაჟენსკის ტაძარი, რასაც ერთი უდანაშაულო ადამიანი შეეწირა – ცათა სასუფეველი დაუმკვიდროს უფალმა! დაიჭრა იპოდიაკონიც. ეს, რა თქმა უნდა, აღმაშფოთებელი ტერორისტული აქტია, მაგრამ მის შესახებ დუმს მსოფლიოს საინფორმაციო საშუალებები და უფლებადამცველი ორგანიზაციები.

იმავე მარიუპოლში საომარი მოქმედებების დროს ბევრმა სამრევლომ ან მთლიანად დაკარგა თავისი ქონება, ან დაკარგა მისი მნიშვნელოვანი ნაწილი. ვიცი, რომ სანკტ-პეტერბურგის მიტროპოლიამ დახმარება აღმოუჩინა მარიუპოლის ტაძრებს და საეკლესიო ჭურჭელი გადასცა.

2023 წლის თებერვალში დონეცკის სახალხო რესპუბლიკაში გაიხსნა მსოფლიო რუსეთის სახალხო კრების ფილიალი. ეს მოვლენა მოწმობს საზოგადოებრივი ცხოვრების აღორძინებას, ხალხის მზადყოფნას აიღოს ინიციატივა და აქტიური პოზიცია დაიკავოს იმასთან დაკავშირებით, რაც ხდება. რა თქმა უნდა, ჩვენი პრიორიტეტი საეკლესიო-სამრევლო ცხოვრების სრულფასოვანი აღდგენაა და პოზიტიურ შედეგებს, პირველ რიგში, ადგილობრივ ხელისუფლებასთან დიალოგით უნდა მივაღწიოთ.

დასასრულ, მინდა მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც რთულ განსაცდელში მყოფი ჩვენი ძმების დასახმარებლად მუშაობს. ეს სამუშაო უნდა გაგრძელდეს, გაფართოვდეს და ამის შესახებ ცნობები ძალიან აქტიურად მიეწოდოს მსოფლიო საზოგადოებას“.

შემდეგ უწმინდესმა მეუფემ წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგი, რომელიც მოიცავს, კერძოდ, სასულიერო სემინარიების საქმიანობას, სინოდალური დაწესებულებების მუშაობის გააქტიურებას ყირიმში, დონეცკის სახალხო რესპუბლიკაში, ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკაში, ზაპოროჟიესა და ხერსონის ოლქებში; ასევე წინადადებების განხილვას XXXII საერთაშორისო საშობაო საგანმანათლებლო საკითხავების თემაზე (2024 წლის 24-27 იანვარი), – **იუწყება** მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის პრეს-სამსახური.

უმაღლესი საეკლესიო საბჭოს შემადგენლობაში, რომელსაც უწმინდესი პატრიარქი კირილე თავმჯდომარეობს, შედიან:

კრუტიცისა და კოლომნის მიტროპოლიტი პავლე, მოსკოვის საპატრიარქოს ახლო საზღვარგარეთის ეპარქიების სამმართველოს ხელმძღვანელი;

ვოსკრესენსკის მიტროპოლიტი დიონისე, მოსკოვის საპატრიარქოს საქმეთა მმართველი;

ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტი ანტონი, მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარე;

კალუგისა და ბოროვსკის მიტროპოლიტი კლიმენტი, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საგამომცემლო საბჭოს თავმჯდომარე;

კაშირის მიტროპოლიტი თეოგნოსტი, მონასტრებისა და ბერმონაზვნობის სინოდალური განყოფილების თავმჯდომარე;

სტავროპოლისა და ნევინომისკის მიტროპოლიტი კირილე, კაზაკებთან ურთიერთობის სინოდალური კომიტეტის თავმჯდომარე, შეიარაღებულ ძალებთან და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის სინოდალური განყოფილების თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი;

მურმანსკისა და მონჩეგორსკის მიტროპოლიტი მიტროფანე, ფიზიკური კულტურისა და სპორტის საპატრიარქო კომისიის თავმჯდომარე;

ფსკოვისა და პორხოვის მიტროპოლიტი ტიხონი, კულტურის საკითხებში საპატრიარქო კომისიის თავმჯდომარე;

ეკატერინბურგისა და ვერხოტურის მიტროპოლიტი ევგენი, რელიგიური განათლებისა და კატეხიზაციის სინოდალური განყოფილების თავმჯდომარე;

ოდინცოვოსა და კრასნოგორსკის მთავარეპისკოპოსი თომა, მოსკოვის საპატრიარქოს ადმინისტრაციული სამდივნოს ხელმძღვანელი;

რამენსკის ეპისკოპოსი ირინარქი, საპატიმროებში მსახურების სინოდალური განყოფილების თავმჯდომარე;

ვერეის ეპისკოპოსი პანტელეიმონი, ეკლესიის საქველმოქმედო და სოციალური მსახურების სინოდალური განყოფილების თავმჯდომარე;

ისტრის ეპისკოპოსი სერაფიმე, ახალგაზრდობის საქმეთა სინოდალური განყოფილების თავმჯდომარე;

ლუხოვიცკის ეპისკოპოსი ეფთვიმე, სინოდალური მისიონერული განყოფილების თავმჯდომარე;

დეკანოზი მაქსიმე კოზლოვი, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სასწავლო კომიტეტის თავმჯდომარე;

მღვდელმონაზონი ერმოგენი (ბურიგინი), მოსკოვის საპატრიარქოს საფინანსო-სამეურნეო სამმართველოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი;

ვ.რ. ლეგოიდა, საზოგადოებასა და მედიასთან ეკლესიის ურთიერთობის სინოდალური განყოფილების თავმჯდომარე;

ილუმენია ქსენია (ჩერნეგა), მოსკოვის საპატრიარქოს იურიდიული სამმართველოს ხელმძღვანელი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მიწვეულნი იყვნენ, ასევე: მოსკოვის საპატრიარქოს საქმეთა მმართველის მოადგილე, ზელენოგრადის ეპისკოპოსი საბა; მოსკოვის საპატრიარქოს გამომცემლობის ხელმძღვანელი და მთავარი რედაქტორი, ბალაშიხინისა და ორეხოვო-ზუევოს ეპისკოპოსი ნიკოლოზი; საზოგადოებასთან და მედიასთან საეკლესიო ურთიერთობის სინოდალური განყოფილების თავმჯდომარის პირველი მოადგილე, მსოფლიო რუსეთის სახალხო კრების თავმჯდომარის მოადგილე, წმ. იოანე ღვთისმეტყველის სახ. რუსეთის მართლმადიდებლური უნივერსიტეტის რექტორი ა.ვ. შჩიპკოვი.

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის პრეს-სამსახურის *ფოტო*

წყარო: https://mospat.ru/ge/news/90280/